# დასრულდა XXV ოლიმპიური თამაშები ბარსელონაში და დასრულდა საქართველოს სპორტსმენების გამოსვლა სხვისი ქვეყნის სახელით თუ გაერთიანებული გუნდების შემადგენლობაში. ოლიმპიადა ჩვენთვის დამთავრდა გასულ პარასკევს, დაახლოებით 16 საათზე თბილისის დროით. იმ წუთებიდან დაიწყო ახალი ეტაპი ქართული სპორტის ისტორიაში.


# ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

12 აგვისტო, ოთხშაბათი, 1992 წ.
№ 48 (10 705) ● ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




ბარსელონიდან XXV ოლიმპიური თამაშების რეპორტაჟების სპონსორია ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები თენგიზ გაჩეჩილაძე, დავით ლონდაძე, გიორგი მახარაძე ტელეფონით და ფაქსით ბარსელონიდან გვატყობინებენ:

## როცა მეფე ქომაგია...

**რამაზ ფალიანის „ბრინჯაო“ დღევანდელი ქართული კრივის დიდ შესაძლებლობათა დასტურია.**

გასულ პარასკევს, დაახლოებით 14 საათზე დასრულდა ბარსელონაში ოლიმპიური თამაშები საქართველოს სპორტსმენებისთვის. ამ დღეს რინგზე ნახევარფინალურ შეხვედრაში რამაზ ფალიანის მეტოქე იყო ესპანელი ფაუსტინო რეიესი. ვერ ვიტყვით, რომ თამაშების მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელს რაიმე უპირატესობა მოეპოვებინოს, პირიქით, შთამბეჭდავად აქტიურობდა ფალიანი, ქულებსაც იღებდა, მაგრამ შეჯამებისას ყველაფერი სადღაც იკარგებოდა — ეს სპეციალისტების აზრი გახლავთ. ველოდით თუ არა არაობიექტურობას მსაჯების მხრიდან? ველოდით, მაგრამ არც ასე აშკარად გამოკვეთილს. რამაზმა, გრძნობდა რა პასუხისმგებლობას, შეხვედრის ატმოსფეროს მნიშვნელობას — ისევ სპეციალისტების აზრს დავესესხებით — ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ბრძოლა ჩაატარა. ამ შეხვედრაზე თვით მეფე ხუან კარლოსი მობრძანდა, დარბაზში, წარმოიდგენთ, როგორი მხარდაჭერა ექნებოდა, კრივში ხდება ხოლმე — თუ სუსტის მხარდაჭერა სურთ, აურზაურში, უაღრესად დაძაბულ სიტუაციაში მსაჯებს ადვილად ღალატობთ ხოლმე ნერვები და გარედან დაწოლას ველარ უძლებენ, მით უფრო, თუ ამის შინაგანი სურვილიც ამოძრავებთ. 19:14 — ასეთი შეხვედრის შთაბეჭდილებიდან, ასეთი საოცარი ანგარიში დააფიქსირეს საბოლოოდ მსაჯებმა ესპანელის სასარგებლოდ. ამით დაესვა წერტილი ჩვენთვის XXV ოლიმპიადას.



რამაზ ფალიანის გამარჯვებამ ამერიკელ ჯულიან უილერთან ყველა დაარწმუნა ქართველი მოკრივის მაღალ კლასში.



9-10 აგვისტოს რესპუბლიკის ქალაქების სტადიონებზე საზეიმოდ გაიხსნა და დაიწყო საქართველოს IV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. თბილისის დინამოელებმა ჩემპიონატის „საპრემიერო“ მატჩში უმასპინძლეს თელავის „კახეთს“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## გმადლობთ, ბარსელონა, ჯერი ატლანტაზეა!

საზეიმო, ფეერიული, ამაღელვებელი, რა თქმა უნდა, ცოტა ნაღვლიანიც — ასეთი გახლავთ საერთოდ ოლიმპიადის დასრულების, ოლიმპიადასთან გამომშვიდობების ცერემონიალი და, ცხადია, ასე იყო ამჯერადაც ბარსელონაში XXV ოლიმპიური თამაშების დახურვისას. ოლიმპიურ სტადიონზე მოწყობილმა ათასფერადმა ჩირაღმა ააციაგა ღამეული ბარსელონა — ზეიმით დაუღლელი კატალონიის დედაქალაქი, ეს ორი კვირა მხოლოდ სპორტის წმინდა ალაგად, პლანეტის უპირველეს ქალაქად რომ იქცა. მდიდარი და მრავალფეროვანი პროგრამის ყველაზე ემოციური მომენტი, უეჭველია, ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების ალამდართა ალლუმი გახლდათ (სპორტული დელეგაციების სხვა წევრები, პირველად ასეთ ღონისძიებათა ისტორიაში, ტრიბუნაზე ისხდნენ). თვალი, რა თქმა უნდა, საქართველოს დროშას ეძებდა და ვიხილეთ კიდეც — ბარსელონის ოლიმპიადის სამი ჩემპიონისა და ხუთი ბრინჯაოს პრიზიორის ქვეყნის დროშა, ქვეყნისა, რომლის წარმომადგენლებს არაერთხელ უსახელებიათ ოლიმპიადებზე თავი, მაგრამ, ვაი, რომ არა თავისი სამშობლო. ღვთის მადლით, ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა.

...გმადლობთ, ესპანეთო! გმადლობთ, კატალონია! გმადლობთ, ბარსელონა! — ასეთი სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა XXV ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა. დაგვეთანხმებით, ამ სამადლობელს ყველა სპორტის მოყვარული სიამოვნებით შეუერთდება.

ოლიმპიური ალამი კი, ტრადიციისამებრ, მომდევნო თამაშების მასპინძლის, აშშ-ის ქალაქ ატლანტის მერმა ჩაიბარა.

მეორე დღეს, 10 აგვისტოს, ხუან ანტონიო სამარანჩმა თამაშების შემაჯამებელი პრეს-კონფერენცია გამართა ოლიმპიადაზე აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის.










ოლიმპიადისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-2-3 გვ.

იხ. მე-4 გვ.

# მედლები—საქართველოსთვის!



„შავი დღე“ იაპონელი მსოფლიო ჩემპიონის ოგავას ცხოვრებაში — დავით ხახალეიშვილმა წმინდად მოუგო ფინალური ბრძოლა.



წონა დაფიქსირდა — კახი კახიაშვილი ოლიმპიური ჩემპიონია!



ოთხწლიანი ლოდინის შემდეგ ლერი ხაბელოვი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა!

## ოლიმპიადის პრიზიორები კვარცხლბეკზე

### კახი კახიაშვილი

ძალოსნობა, 90 კგ.

1. კ. კახიაშვილი (გაერთ. გუნდი) — 412,5
2. ს. სირცოვი (გაერთ. გუნდი) — 412,5
3. ს. ვოლჩანეცკი (პოლონეთი) — 392,5

### დავით ხახალეიშვილი

ძიუდო, 95 კგ.

1. დ. ხახალეიშვილი (გაერთ. გუნდი)
2. ნ. ოგავა (იაპონია)
3. დ. დუიე (საფრანგეთი)
ი. ჟოსი (უნგრეთი)

### ლერი ხაბელოვი

თავისუფალი ჭიდაობა, 100 კგ.

1. ლ. ხაბელოვი (გაერთ. გუნდი)
2. ჰ. ბალცი (გერმანია)
3. ა. ქაიალი (თურქეთი)



### დავით გობეჯიშვილი

თავისუფალი ჭიდაობა, 130 კგ.

1. ბ. ბაუმგარტნერი (აშშ)
2. ჯ. ტიუ (კანადა)
3. დ. გობეჯიშვილი (გაერთ. გუნდი)

### გოგი კოლუაშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა 90 კგ.

1. მ. ბულმანი (გერმანია)
2. ჰ. ბაზარი (თურქეთი)
3. გ. კოლუაშვილი (გაერთ. გუნდი)

### ლელა მესხი

ჩოგბურთი, წყვილთა თანრიგი

1. მ. ჯ. ფერნანდესი, ჯ. ფერნანდესი (აშშ)
2. კ. მარტინესი, ა. სანჩესი (ესპანეთი)
3. ლ. მესხი, ნ. ზვერევა (გაერთ. გუნდი)
რ. მაკკილანი, ნ. პროვისი (ავსტრალია)

### რამაზ ფალიანი

კრივი, 57 კგ.

1. ა. ტევზი (გერმანია)
2. ფ. რეიესი (ესპანეთი)
3. რ. ფალიანი (გაერთ. გუნდი)
3. ხოლტანი (ალჟირი)

### ხათუნა ქვრივიშვილი

მშვილდოსნობა, გუნდური

1. სამხრეთ კორეა
2. ჩინეთი
3. გაერთიანებული გუნდი

ხათუნა ქვრივიშვილთან ერთად გუნდში გამოდიოდნენ: რ. ვალეევა და ლ. არჟანიკოვა.



ლელა მესხი



ხათუნა ქვრივიშვილი



რამაზ ფალიანი



გოგი კოლუაშვილი



დავით გობეჯიშვილი

# პრეზიდენტის ამპლუა

**ამბობენ,** დიპლომატს ენა იმისთვის სჭირდება, რომ არ გამოთქვას თავისი აზრიო. ესპანეთის ყოფილ ელჩს ყოფილ სსრ კავშირში სწორედ ამის გამო შეარქვეს ზედმეტსახელად „ეშმაკი მელა". სამარანჩს ოსტატურად შეეძლო გვერდი აეხვია მთავარი საკითხისთვის, ელაპარაკა ბევრი და მალალფარდოვნად, მაგრამ არაფერი ეთქვა გულახდილად.

ახლა, როცა ყოფილ დიპლომატს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მომავალ გეგმებზე ეკითხებიან, პასუხს იძლევა კონკრეტულს და სიტყვებსაც არაორაზროვანს წარმოთქვამს. ნოხების ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი და ბანკირთა შორის დაფასებული მილიონერი, ცხადია, პენსიაზე გასვლას, როგორც სოკ-ის პრეზიდენტი, არ ფიქრობს. მას უფრო პატივმოყვარული, ფართო გეგმები აქვს.

1993 წელს სამარანჩს უფლებამოსილების ვადა უმთავრდება. ერთხანს კონკრეტული ლაპარაკი იყო მის უახლოეს შემცვლელებზე, სოკის პრეზიდენტობის კანდიდატებზე. ხან ვის ასახელებდნენ, ხან ვის, მაგრამ არც ერთი კანდიდატი არ იყო მისაღები.

მსოფლიოს სპორტული მოძრაობის ორი გამოკვეთილი ლიდერის — ხუან ანტონიო სამარანჩისა და იტალიელი პრიმო ნებიოლოს (ეს უკანასკნელი ამჟამად მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციისა და მსოფლიოს საუნივერსიტეტო სპორტის ხელმძღვანელია) ფარული წინააღმდეგობის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. სამარანჩმა ამას წინათ სოკის მომავალი პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომელშიც არც ჰო იყო ნათქვამი და არც არა. ამიტომ არავინ იცის, ვინ შეიძლება გახდეს მისი მეტოქე: ნებიოლო თუ ფრანგი ჟან კლოდ კილი, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი ალბერვილის ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზაციას და რომელსაც აშკარად უჭერს მხარს სამარანჩი.

ბოლო დროს სოკის პრეზიდენტზე ამბობენ, იგი გარკვეულ გავლენას ახდენს არა მარტო სპორტზე, არამედ მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაზეც. ასეთ კაცს, ცხადია, ვერც შეკადრებ პრეზიდენტობას კონკრეტული ვადით. იგი მანამ უნდა გამოიყენოს საზოგადოებრიობამ, სანამ შეუძლია სარგებლობის მოტანა.

სწორედ ამიტომ, ახლა გარკვეული ნაბიჯის გადადგმას პრეზიდენტისგან ელოდნენ და მან გადადგა კიდეც იგი, როცა განაცხადა:

— დიახ, მსურს ოლიმპიური მოძრაობის ას წლისთავს პრეზიდენტის რანგში შევხვდე.

ამით ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ იყო ნათქვამი.

სამარანჩს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიდ პრეზიდენტს უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ მისი მმართველობის დროს ორი დიდი ბოიკოტი მოხდა (1980 და 1984 წლებში). მაშ რაშია მისი ძალა, რაში მდგომარეობს მისი ავტორიტეტის საიდუმლო? ალბათ იმაში, რომ სწორედ სამარანჩის კურთხევით მოხდა მსოფლიო სპორტის არნახული კომერციალიზაცია, რამაც, საბოლოო ჯამში, ოლიმპიურ მოძრაობას მტკიცე ფინანსური ბაზა შეუქმნა. როცა 12 წლის წინ სამარანჩმა პირველად გამოაღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სალაროს კარი, იქ მხოლოდ 100 ათასი დოლარი ელაგა. დღეს სოკის ანგარიშზე ასობით მილიონი დოლარია...



სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი (მარცხნივ) და ესპანეთის მეფე ხუან კარლოს ბურბონი საქმიანი საუბრის დროს.

# ოლიმპიური მოზაიკა

● **რუსეთის** გენერალურ საკონსულოში, რომელიც ბარსელონის ცენტრში მდებარეობს, ოლიმპიურ ჩემპიონთა პატივსაცემად გაიმართა მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალური დირექტორი ფრანსუა კარარი. ამ უკანასკნელმა წაიკითხა ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის დეკრეტი, რომლის თანახმადაც სმირნოვი დაჯილდოვდა სამოქალაქო დამსახურების ორდენის დიდი ჯვრით.

● **26 წლის** ბერძენ მძლეოსანს პარასკევი პატოლიდუს, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა 100 მეტრზე თარჯრბენში ქალთა შორის, აქ „ყველაზე მოულოდნელი ჩემპიონის" მეტსახელი შეარქვეს. და მართლაც, თითქმის ყველა სპეციალისტი გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა ამერიკელ გეილ დევერსს, რომელსაც სეზონის საუკეთესო შედეგი ჰქონდა წლეულს და მშვენიერ ფორმაშიც იყო (მან ბარსელონაში 100 მეტრზე რბენა მოიგო), მაგრამ ბოლო თარჯზე სრულიად მოულოდნელად ფეხი წამოსდო წინაღობას და... დაეცა.

● **ამერიკელმა** სპრინტერმა გვენ ტორენსმა 200-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ყველას გასაგონად განაცხადა: „მე ახლაც არ მიმაქვს უკან ჩემი სიტყვები და გერმანელ კატრინ კრაბეს ვადანაშაულებ დოპინგის სისტემატურ მიღებაში. ასე რომ არ ყოფილიყო, იგი ვერ მოიგებდა მსოფლიო ჩემპიონატს ტოკიოში".

● **თანამედროვეობის** ორი უძლიერესი სიგრძეზე მხტომელის, ამერიკელების — კარლ ლუისისა და მაიკ პაუელის ოლიმპიურ პაექრობას ინტერესით ადევნებდა თვალს 65 ათასი მაყურებელი. მძლეოსნობის მოყვარულებს, ცხადია, დიდი სურვილი ჰქონდათ ყოფილიყვნენ ახალი მსოფლიო რეკორდის დაბადების თანამონაწილენი. მაგრამ ეს არ მოხდა. თუმცა გამარჯვებულმაც (ლუისი — 868 სმ) და ვერცხლის პრიზიორმაც (პაუელი — 864 სმ) [illegible] შესანიშნავი შედეგები აჩვენეს. შევნიშნავთ, რომ კარლ ლუისს ოლიმპიურ თამაშებში სულ რვა ოქროს მედალი აქვს მოპოვებული.

● **კალათბურთში** საჯარიმო სროლების ზუსტი შესრულება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თამაშის შედეგს. ეს ერთხელ კიდევ ცხადყო გაერთიანებული გუნდისა და ხორვატიის ნაკრების უაღრესად დრამატულმა მატჩმა, რომელიც ამ უკანასკნელმა ერთი ქულის სხვაობით (75:74) მოიგო. საჯარიმო სროლების შესრულებაში აქ თავისებური დუელი ჰქონდათ ლიდერებს — პეტროვიჩსა და ვოლკოვს. პეტროვიჩმა თავის გუნდს მოუტანა 28 ქულა (10 საჯარიმოთი — 77 პროცენტი). ვოლკოვმა — 20 (4 საჯარიმოთი — 40 პროცენტი).





გამოდევნებით რბოლა 4 კმ. ინგლისელი კრის ბროდმანი დისტანციაზე.

● 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებული — მუდამ მეორე, ახლა კი ოქროს მედალოსანი ლინფორდ კრისტი (დიდი ბრიტანეთი).

# ოფისი კიდევ ერთი კვირა იმუშავებს

**შეგახსენებთ, რომ „ლელოს"** ოფისი ბარსელონაში თბილისელი სტუდენტების, [illegible] ცნობილი ბარსელონაში ჩვენი [illegible] ნლაძის და გიორგი მახარაძის ბინაშეა. დიახ, ოფისი კვლავაც, თამაშების დამთავრების შემდეგ კიდევ ერთი კვირა იმუშავებს. [illegible] ნომერს: 418-26-88, დაგვირეკეთ დილაობით 8-დან 10 საათამდე, შემდეგ 22-დან 24 საათამდე [illegible].

# საერთაშორისო ფედერაციები მუშაობენ

**ბარსელონაში,** ოლიმპიური თამაშების დღეებში, თითქმის ყველა საერთაშორისო ფედერაციამ ჩაატარა სესია და განიხილა თავისი სპორტის სახეობის აქტუალური პრობლემები.

ძალოსნებს, მაგალითად, გადაწყვეტილი აქვთ ცვლილებები შეიტანონ წონით კატეგორიებში. ამიერიდან ისინი ასეთ სახეს მიიღებენ: 54, 59, 64, 70, 76, 83, 91, 99, 108 და 108 კგ-ს ზემოთ. რატომ ხდება ეს ცვლილებები, ყველასთვის გასაგებია. საერთაშორისო ფედერაცია დელიკატურ ფორმებში უარს ამბობს იმ მსოფლიო რეკორდებზე, რომელთა უმრავლესობა აკრძალული სტიმულატორების საშუალებით არის დამყარებული. ამასთან, ფედერაციამ ჯერჯერობით მიზანშეწონილად ჩცნო სუპერმძიმეწონოსნებისთვის წონის ზღვარის (140 კილოგრამამდე) დაწესება. ამ საკითხს ფედერაცია წლის ბოლოს დაუბრუნდება.

ჭიდაობაში შეჯიბრების წესები თითქმის ყოველ წელს იცვლება. გამონაკლისი არც ოლიმპიური წელი გახლავთ. საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე მიიღეს რამდენიმე პრინციპული სიახლე. ჯერ ერთი, წაგებული მოჭიდავე ვეღარ იბრძოლებს ოქროს მედლისთვის. მან ასპარეზობა უნდა განაგრძოს „იმედის ტურნირში" და მაქსიმუმ „ბრინჯაოს" ჯილდო შეიძლება მოიპოვოს.

შემდეგ, მოგება ჩაეთვლება მოჭიდავეს, რომელიც მეტოქეს წაართმევს ოთხ ან მეტ ქულას. ყველა სხვა შემთხვევაში ორივე მხარე დამარცხებულად ცხადდება. არის კიდევ სხვა უმნიშვნელო ცვლილებები, რომელთა მიზანია უფრო საინტერესო და სანახაობრივი გახადოს ჭიდაობა.

# [illegible] ტაბლოზე

5 აგვისტო

**მძლეოსნობა**

**ქალები. 400 მ. თარჯრბენი.** 1. ს. განელი (ინგლისი) — 53,23; 2. ს. ფარმერ-პეტრიკი — 53,69; 3. დ. ვიკერსი (ორივე — აშშ) — 54,31.

**ვაჟები. 400 მ. რბენა.** 1. ქ. უოთსი — 43,50; 2. ს. ლუისი (ორივე — აშშ) — 44,21; 3. ს. კიტური (კენია) — 44,24.

**ქალები. 400 მ. რბენა.** 1. მ. ჟ. პერეკი (საფრანგეთი) — 48,83; 2. ო. ბრიზგინა (გაერთ. გუნდი) — 49,05; 3. ქ. რ. გავირია (კოლუმბია) — 49,64.

**ვაჟები. 800 მ. რბენა.** 1. უ. ტანუი — 1.43,66; 2. ნ. კიპროტიჩი (ორივე — კენია) — 1.43,70; 3. ჯ. გრეი (აშშ) — 1.43,97.

**ვაჟები. ბადრო.** 1. რ. უბარტასი (ლიტვა) — 65,12; 2. ი. შულტი (გერმანია) — 65,04; 3. რ. მოია (კუბა) — 64,12.

**ფარიკაობა**

**ვაჟები. რაპირა. გუნდური.** 1. გერმანია; 2. კუბა; 3. პოლონეთი.

**ცხენოსნობა**

**ცხენის გაწვრთნა.** 1. ნ. უპჰოფი — 1626; 2. ი. ვერტი — 1551; 3. ქ. ბალკენჰოლი (სამივე — გერმანია) — 1515.



6 აგვისტო

**მძლეოსნობა**

**ვაჟები. 400 მ. თარჯრბენი.** 1. ქ. იანგი (აშშ) — 46,78; 2. უ. გრემი (იამაიკა) — 47,66; 3. ქ. აკაბუსი (ინგლისი) — 57,82.

**ვაჟები. 200 მ. რბენა.** 1. მ. მარში (აშშ) — 20,01; 2. ფ. ფრედერიკსი (ნამიბია) — 20,13; 3. მ. ბიეტსი (აშშ) — 20,38.

**ვაჟები. სიგრძე.** 1. კ. ლუისი — 8,67; 2. მ. პაუელი — 8,64, 3. დ. გრინი (სამივე — აშშ) — 8,34.

**ვაჟები. ათჭიდი.** 1. რ. ჟმელიკი (ჩეხეთ-სლოვაკეთი) — 8611; 2. ა. პენიალვერი (ესპანეთი) — 8412; 3. ჯ. ჯონსონი (აშშ) — 8309.

**ქალები. 200 მ. რბენა.** 1. გ. ტორენსი (აშშ) — 21,81; 2. დ. კატბერტი — 22,02; 3. მ. ოტი (ორივე — იამაიკა) — 22,09.

**ქალები. 100 მ. თარჯრბენი.** 1. პ. პატულიდუ (საბერძნეთი) — [illegible]; 2. ლ. ე. მარტინი (აშშ) — [illegible]; 3. ი. დონქოვა (ბულგარეთი) — 12,70.

**სინქრონული ცურვა**

**სოლო.** 1. ქ. ბებ-სპრეიგი (აშშ) — 191,848; 2. ს. ფრეშეტი (კანადა) — 191,717; 3. ფ. ოკუნო (იაპონია) — 187,056.

**ფარიკაობა**

**დაშნა. გუნდური.** 1. გერმანია, 2. უნგრეთი, 3. გაერთ. გუნდი.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

**„დინამო“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0 (1:0).**

**თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის სტადიონი. 9 აგვისტო.**

**„დინამო“: ზოიძე, ბერაძე, ქოქოშვილი (ცვარაცხელია, 46), შელია, კუდინოვი, ანჩაბაძე, ინალიშვილი, ჩიქოვანი, რ. არველაძე (რეხვიაშვილი, 76), ჭინჭლაძე, შ. არველაძე.**

**„კახეთი“: გრიშიკაშვილი, ნაკუდაიძე, ბიწკინაშვილი, როსტომაშვილი, ამისულაშვილი, ჭვრიტიძე, მაღრაძე, ფრუიძე, კალუგა, ჯაშიაშვილი (ბაბულაიძე, 80), სოლოღაშვილი.**

**მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), მ. კიკაძე (ხაშური), თ. ლაცაბიძე (სურამი).**

**გოლი: ინალიშვილი (11-მეტრიანით, 17).**

**გააფრთხილეს შ. არველაძე.**

უმაღლესი ლიგის დებიუტანტ თელავის გუნდს, ცხადია, ბედმა არ გაუმართლა, როცა ჩემპიონატის სტარტზე წილისყრამ მეტოქედ „დინამო“ არგუნა. ამან, ცხადია, ახალბედას თამაშისადმი ინტერესი გაარკვეცა, თუმცა, ბუნებრივია, სეზონის სტარტზე „დინამოსკენაც“ იყო მიმართული, „მაკონტროლებელი მზერა“ — ყველას აინტერესებდა, როგორ შეხვდა რესპუბლიკის ჩემპიონი უეფას მკაცრ გადაწყვეტილებას ევროპის 1992-93 წლების საკლუბო ტურნირში მონაწილეობის აკრძალვის თაობაზე, ხომ არ აიყარეს გული მოთამაშეებმა, ხომ არ გაუნელდათ ბრძოლის ჟინი. აი, ის კითხვები, პასუხს რომ ითხოვდა. საბრძოლო განწყობილების თვალსაზრისით, საყვედური არც ერთ მხარეს არ ეთქმის, მაგრამ თამაშში ნაკლებად იყო ისეთი მომენტები, რომლებიც შემორჩება ხოლმე მეხსიერებას. გულშემატკივარს, პირველ ყოვლისა, თვალში მოსდის ის საინტერესო კომბინაციური ბრძოლა, მინდვრის ყოველ მონაკვეთზე რომ იშლება, მაგრამ მის ნაცვლად მეტოქეებმა არჩიეს ბურთის ინდივიდუალურად ტარება, რასაც იშვიათად შეაქვს დაძაბულობა თამაშში და არც სანახაობრივად არის ხოლმე მიმზიდველი.

ინიციატივა, რა თქმა უნდა, გამოცდილ „დინამოს“ უნდა გამოეჩინა და ასეც მოხდა მატჩის დასაწყისში ძმებ არველაძეებისა და ჭინჭლაძის წყალობით. სამწუხაროდ, ეს ინიციატივა მერე აღარ განმტკიცებულა და თამაშის ბედი იმ ერთადერთი გოლის წყალობით გადაწყდა, რომელიც 11-მეტრიანით გავიდა სტუმრების კარში.

ავლაბრის ვეტერანთა კავშირის სპეციალური პრიზი — პირველი გოლის ავტორს — გადაეცა გ. ინალიშვილს, ხოლო კლუბ „დინამოს“ ჯილდო — მატჩის საუკეთესო ფეხბურთელისა — გ. ჭინჭლაძეს.

**შ. უნგიაძე**



„დინამო“ — „კახეთი“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**„გორდა“ (რუსთავი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:1 (1:1)**

**რუსთავი. „მეტალურგის“ სტადიონი. 9 აგვისტო.**

**„გორდა“: ქორიძე, სულაძე, (ავაქიანი, 46), ბურნაძე, ლობჟანიძე, ქასრაშვილი, ვ. კილასონია, ტ. კაპანაძე, გ. კილასონია, ა. კაპანაძე, მეტრეველი, მიქაშავიძე.**

**„ალაზანი“: ჭუნიაშვილი, ნადარეიშვილი, გუჯაბიძე (ფოფხაძე, 75), სანადირაძე, თევზაძე, ცომაია, აფციაური, ხეფაშვილი, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, ნეფარიძე.**

**მსაჯები: ე. ხილაგავა, ვ. ჩოჩოშვილი (ორივე — თბილისი), ო. კბილაშვილი (ქუთაისი).**

**გოლები: ო. კორღალიძე (15), ვ. მიქაშავიძე (41).**

**გააფრთხილეს: გ. ჭუნიაშვილი, ს. ქასრაშვილი.**

**მთელი** ქალაქი ფეხზე დადგა, რათა რუსთავის სტადიონი მომზადებული შეხვედროდა უეფას თასის გათამაშებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გუნდებს ჩამოერთვათ ევროტურნირებში მონაწილეობის უფლება, წამოწყებული საქმე მაინც ბოლომდე მიიყვანეს და ერთ თვეში მართლაც ბევრი რამ მოასწრეს რუსთაველებმა. სათამაშო მინდორი (ადრე მისი უვარგისობა არაერთხელ აღნიშნულა) დღეს რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ერთი სიტყვით, რუსთაველებმა „ფეხზე წამოაყენეს“ საკუთარი სტადიონი და ახლა... ერთ წელიწადში მოელიან უცხოელ სტუმრებს.

მატჩი „გორდასა“ და „ალაზანს“ შორის ტურის ცენტრალურ შეხვედრად შეიძლება ჩაითვალოს. მართალია, რუსთაველები, წინა ჩემპიონატის პრიზიორები, ესპარეზებოდნენ გუნდს, რომელიც იმ ჩემპიონატში არაფრით გამოირჩეოდა და უმაღლესი ჯგუფის დატოვების კანდიდატიც კი გახლდათ, მაგრამ წელს გურჯაანელებს მწვრთნელიც ახალი ჰყავთ — ოთარ გაბელია და შემადგენლობაც საგრძნობლად გადაახალისეს — ძველი გუნდიდან ამ მატჩში მხოლოდ სამი (!) ფეხბურთელი თამაშობდა, დანარჩენნი მოიწვიეს „გურიიდან“, „შევარდენი-1906“-დან, ნეფარიძე და ცომაია კი ფინეთიდან დაბრუნებულნი შეუერთდნენ „ალაზანს“. ცვლილებებია „გორდას“ შემადგენლობაშიც — გუნდი დატოვა რამდენიმე ფეხბურთელმა, თელავის „კახეთიდან“ გადმოვიდა ვარლამ კილასონია.

მატჩი სწრაფ ტემპში დაიწყო და მალე ნეფარიძე-ხეფაშვილის კომბინაცია ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა კორღალიძემ გოლით დააგვირგვინა — თავით გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში. სტუმრებმა პირველ ტაიმში არაერთი აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, ტაიმის მიწურულს კი „გორდას“ ლამაზი კომბინაცია ასევე ლამაზი გოლით დაასრულა მიქაშავიძემ. მეორე ნახევარი, ისე, როგორც პირველი, სწრაფ ტემპში წარიმართა. ამჯერად უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა, სტუმრებიც საკმაო თავსატეხს უჩენდნენ მასპინძელთა მეკარეს და დაცვას. საბოლოოდ, ანგარიში არ შეცვლილა — 1:1.

**რამინ ჟურაშვილი,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**

### სხვა მატჩები

**9 აგვისტო**

**„ცხუმი“ (სოხუმი) — „ივერია“ (ხაშური) 4:1**

**„მზიური“ (გალი) — „მრეტები“ (თბილისი) 4:2**

**„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:1**

**„ბათუმი“ (ბათუმი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:1**

**10 აგვისტო**

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:1**

**„კოლხეთი“-1913 (ფოთი) — „შევარდენი“-1906 (თბილისი) 2:1**

**„დილა“ (გორი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 1:0.**

**ზუგდიდის „ოდიშისა“ და სამტრედიის „სამტრედიის“ თამაში არ შემდგარა.**

**„სპორტპროგნოზი“. 33-ე ტირაჟის პროგრამა (14-16 აგვისტო)**

**გერმანიის ჩემპიონატი ფეხბურთში (ბუნდესლიგა)**

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | „კაიზერსლაუტერნი“ — „კიოლნი“ | 14.VIII | 40 | 30 | 30 |
| 2. | „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „ზაარბრიუკენი“ | 14.VIII | 40 | 40 | 20 |
| 3. | „ნიურნბერგი“ — „ვერდერი“ | 14.VIII | 50 | 20 | 30 |
| 4. | „ჰამბურგი“ — „შტუტგარტი“ | 15.VIII | 30 | 30 | 40 |
| 5. | „ბოხუმი“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) | 15.VIII | 30 | 30 | 40 |
| 6. | „აინტრახტი“ — „დინამო“ (დრეზდენი) | 15.VIII | 50 | 20 | 30 |
| 7. | შალკე-04“ — „ვატენშაიდი“ | 15.VIII | 40 | 40 | 20 |

**რუსეთის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8. | „ვოლოჩანინი“ (ვოლოჩეკი) — „აპექსი“ (გატჩინა) | 16.VIII | 40 | 30 | 30 |
| 9. | „კოსმოს-კიროვეცი“ (ს. პეტერბურგი) — „ლოკომოტივი“ (ს. პეტერბურგი) | 16.VIII | 40 | 20 | 40 |
| 10. | „ვოლჟანინი“ (კინეშმა) — „პროგრესი“ (ჩერნიახოვსკი) | 16.VIII | 20 | 50 | 30 |
| 11. | „ტორპედო“ (არზამასი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) | 16.VIII | 30 | 20 | 50 |
| 12. | „ზენიტი“ (პენზა) — „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 16.VIII | 40 | 20 | 40 |
| 13. | „ვიმპელი“ (რიბინსკი) — „ბულატი“ (ჩერეპოვეცი) | 16.VIII | 20 | 50 | 30 |

# ექსტრასენსები და ჭადრაკი

**გულშემატკივრები** უკვე შეეჩვივნენ იმას, რომ საჭადრაკო შეჯიბრებაში დიდოსტატებთან ერთად ხშირად მონაწილეობენ... ექსტრასენსები!

ჭადრაკთან ერთგვარი დამოკიდებულება ჰქონდა ცნობილ ნათელმხილველ ვოლფ მესინგს. ეს ის მესინგია, რომელმაც სტალინთან შეხვედრისას სწორად იწინასწარმეტყველა, რომელ წელსა და რომელ დღეს დამთავრდებოდა მეორე მსოფლიო ომი! აი, ჭადრაკში კი მესინგს შეცდომა მოუვიდა. 1965 წელს როცა თბილისში პრეტენდენტთა ფინალური მატჩი იწყებოდა, ამ ექსტრასენსმა გამარჯვება უწინასწარმეტყველა მიხეილ ტალს, ორთაბრძოლა კი მოიგო... ბორის სპასკიმ!

1978 წელს ბაგიოში (ფილიპინები) მსოფლიო პირველობის მატჩის წაგება ანატოლი კარპოვთან ვიქტორ კორჩნოიმ ახსნა... პარაფსიქოლოგ ვლადიმერ ზუხარის ჩარევით. ამავე მეტოქეთა მომდევნო მატჩში მერანოში (იტალია) ზუხარი უკვე აღარ „ჩანდა“, მაგრამ კორჩნოი არ გამორიცხავდა სხვა „სპეციალისტის“ მუშაობას.

ერთი სიტყვით, ზოგი დიდოსტატი მიიჩნევს, რომ ნათელმხილველები, ექსტრასენსები და პარაფსიქოლოგები არაპირდაპირ ერევიან ჭადრაკის თამაშში. ამიტომ შეჯიბრებების ორგანიზატორებს, ჰიპნოზის თუ შელოცვის შესაძლებლობა რომ აღკვეთონ, სატურნირო დარბაზების პირველ რიგებში დაჯდომის შესაძლებლობას არავის აძლევენ: თვლიან, რომ შორიდან მოჭადრაკეზე ზემოქმედება იმდენად საშიში არ არის.

როცა მატჩების დამთავრებიდან რამდენიმე წელი გადის, პარაფსიქოლოგები ზოგჯერ ფარდას ხდიან ხოლმე საკუთარ საიდუმლოს — ასე მოუთხრო მკითხველებს თავისი მუშაობის შესახებ ბაქოელმა პარაფსიქოლოგმა ტოფიკ დადაშევმა, რომელიც (თურმე ნუ იტყვით!) მსოფლიო პირველობის სამ მატჩში ეხმარებოდა გარი კასპაროვს ანატოლი კარპოვის წინააღმდეგ. 1984 წელს, როცა კარპოვ-კასპაროვის მატჩს მსოფლიო ჩემპიონი კარპოვი დიდი უპირატესობით იგებდა (ანგარიში იყო 4:0 მოსკოველი დიდოსტატის სასარგებლოდ), დადაშევმა ახალგაზრდა პრეტენდენტს უთხრა: „მე თქვენ დაგეხმარებით, როცა ანგარიში გახდება... 5:0!“ „რატომ ახლა არა?“ — ჰკითხა გაოცებულმა კასპაროვმა. „ისე მოხდება, როგორც გითხარით. თქვენ ამ მატჩს არ წააგებთ“. აი, რას წერდა შემდეგ დადაშევი: „როცა ანგარიში 5:0 გახდა, მატჩის მსვლელობა სრულიად შეიცვალა. კასპაროვმა ზუსტად შეასრულა ყველა ჩემი რჩევა და დაეუფლა ინიციატივას“. მაშინ, როცა ანგარიში 5:3 გახდა, კარპოვმა სრულიად დაკარგა თამაშის უნარი. სწორედ ამ დროს მატჩი შეწყვიტა ფიდე-ს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა და კარპოვი ამით გადაარჩინა.

ახლა მოვუსმინოთ თვით კასპაროვს: „დადაშევი მე ისეთ სიტუაციაში დამეხმარა, როცა ჩემი მდგომარეობა მატჩში სრულიად უიმედო ჩანდა (0:4). მან მითხრა, რომ ანგარიში 0:5-იც რომ გამხდარიყო, მაინც არ წავაგებდი ამ ორთაბრძოლას. ეს ანგარიში დადაშევმა იწინასწარმეტყველა კიდეც.

ამ ექსტრასენსის ჩარევა მომდევნო მატჩებშიც გაგრძელდა. ზოგჯერ აღარც კი გინდა დაიჯერო, როგორ შეიძლებოდა ამდენი რამის წინასწარ გამოცნობა, როცა მეორე მატჩში ანგარიში გახდა 2:1 კარპოვის სასარგებლოდ, დადაშევმა განაცხადა, რომ მეთხუთმეტე პარტიამდე ერთ შეხვედრას მოიგებდა კასპაროვი, დანარჩენი შეხვედრები კი ყაიმით დამთავრდებოდა. ყოველივე ეს გამართლდა კიდეც. დადაშევმა კასპაროვს უწინასწარმეტყველა გამარჯვება მეთექვსმეტე პარტიაში და წაგება ოცდამეორეში. იგი კვლავ მართალი აღმოჩნდა! მესამე მატჩის ოცდამეორე პარტიას კასპაროვი მოიგებსო — კვლავ სწორად გამოიცნო დადაშევმა!

რა გამოდის — დიდოსტატი მატჩის დროს პასიურ როლს თამაშობს და მას პარაფსიქოლოგი „მართავს“ როგორც თოჯინას? ამდენი დამთხვევის მიუხედავად, ექსპერტები მაინც ფიქრობენ, რომ ეს ასე არ არის — მოჭადრაკე მაინც რჩება „თავისი ბედის მჭედლად“, თუმცა ექსტრასენსს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მაინც შეუძლია დიდად დაეხმაროს მას.

**ბიბი თორელი**

## სპორტლოტო

**32-ე ტირაჟი**

„6 45“ — 2. 10. 17. 19. 24. 41.
„5 36“ — 10. 12. 15. 17. 30.

**31-ე ტირაჟის შედეგები**

„6 45“:

6 ნომერი — არ არის;
5 ნომერი — 5.083 მანეთი;
4 ნომერი — 262 მანეთი.

„5 36“:

5 ნომერი — 62.023 მანეთი;
4 ნომერი — 404 მანეთი;
3 ნომერი — 26 მანეთი.

## სპორტპროგნოზი

**31-ე ტირაჟი**

1—1, 2—X, 3—1, 4—2, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—1, 10—1, 11—1, 12—2, 13—X.

**რედაქტორის მოადგილე თამაზ მიგრიაული**

**ზაფხულია, იჩქარეთ!**

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს მოგზაურობისა და ექსკურსიების გაერთიანება გთავაზობთ 10, 12, 14 და 15-დღიან საოჯახო დასასვენებელ საგზურებს: ბორჯომი ტ/ბ „პლატო“, ბორჯომი — „ტბა“, ბაკურიანი — „სპორტკომბინატი“, ბაზალეთი, ცხვარიჭამია, ლენტეხი (სამკურნალო წყლებით), მესტია, ვარძია, ყაზბეგი, ბათუმი — „მესხეთი“.

12 აგვისტოდან გეპატიჟებათ საქართველოს უძველესი და ულამაზესი კუთხის — შატილის ტურისტული ბაზა.

ჩვენი მისამართია: ი. ჭავჭავაძის გამზ. №80, I სართ. ტელ.: 29-40-32, 29-06-32, 23-58-95, 23-07-20.

ჩვენი მისამართი: 380096, მ. კოსტავას, 14. ტელ: 99-56-14, 99-56-47 ინდექსი 66435 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში